

# სუბტროპიკული ეწერი - Subtropische Podsole

სუბტროპიკული ეწერების საერთო ფართობი საქართველოში 1,5 % შეადგენს (1014,1 კვადრატულ კილომეტრს). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ტენიანი სუბტროპიკულ ზონაში ზღვის დონიდან 200-დან 300 მ-მდე, ძირითადად კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების მცირედ შემაღლებულ პერიფერიულ ნაწილებში ზღვიურ მდინარეთა ძველ ტერასებზე. ეს ნიადაგები ესაზღვრება, ერთის მხრივ, ყვითელმიწებს და კორდიან-კარბონატულ ნიადაგებს და, მეორეს მხრივ, ყვითელმიწა-ეწერლებთან, ეწერ ორშტეინიან-მელჭვლიან და ჭაობიან ნიადაგებს. ნიადაგები ხასიათდება მკვეთრად დიფერენცირებული პროფილით შემდეგი აგებულებით: A-A<sub>1</sub>A<sub>2</sub>-A<sub>2(g)</sub> - B<sub>1</sub>-B<sub>2</sub>-BC-C. მათი ძირითადი დიაგნოსტიკური მახვენებლებია: კარგად გამოხატული ელუვიური ჰორიზონტი, რომელიც გაღარიბებულია ლექის ფრაქციით და ერთნახევარი ჟანგულებით, ყვითელ-ყომრალი ილუვიური ჰორიზონტის არსებობით. ეს ნიადაგები ხასიათდება მჟავე რეაქციით, ჰუმუსის მცირე და საშუალო შემცველობით, შთანქმის დაბალი ტევადობით, წვრილი ფრაქციებით ელუვიური ჰორიზონტების გარარბებით, ძირითადი ჟანგულების ელუვიურ-ოლივიური განაწილებით, თისა და თიხნარი მექანიკური შედგენილობით, ჰიგროსკოპული წყლის საშუალო შემცველობით. ღარიბია საერთო აზოტით, საშუალოდ უზრუნველყოფილია ან მდიდარია ჰიდროლიზებადი აზოტით, ღარიბია საერთო და შესათვისებელი ფოსფორით, საშუალოდ უზრუნველყოფილია საერთო კალიუმით და ღარიბია გაცლითი კალიუმით. ჩვეულებრივ გაბინძურებულია რადიონუკლიდებით.

Der gesamte Flächenanteil der subtropischen Podsole beträgt 1.5% in Georgien (1014,1qkm). Die Böden sind häufig verbreitet in der feuchten subtropischen Zone, hauptsächlich zwischen 300m und 200m über dem Meere. Diese Böden befinden sich in den kleinen erhöhten peripheren Teilen der Nordostbezirke des Kolkheti Flachlands. Sie sind einerseits vergesellschaftet mit Gelberden und kalkhaltigen Rohhumusböden und andererseits mit subtropischen Gley-Podsolen, Sumpfböden und subtropischen Ortstein-Podsolen. Die Böden sind charakterisiert durch abrupte Grenzen im Profil mit folgendem Aufbau: A-A<sub>1</sub>A<sub>2</sub>-A<sub>2(g)</sub>-B<sub>1</sub>-B<sub>2</sub>-BC-C. Die hauptdiagnostischen Merkmale dieser Böden sind: ein gut ausgeprägter Eluvialhorizont, arm an Schluff und Sesquioxiden und einen gelbbraunen Illuvialhorizont. Diese Böden haben eine saure Reaktion, einen mäßigen oder niedrigen Gehalt an Humus, eine niedrige Absorptionskapazität, einen an Schluff verarmten Eluvialhorizont, eine eluvial-illuviale Verteilung von Hauptoxiden, lehmige oder tonige Textur, einen mittleren Gehalt an hygroskopischem Wasser. Die Böden sind schlecht versorgt mit Gesamtstickstoff und sind mittel oder reich im Gehalt an hydrolysierbarem Stickstoff, sind schlecht versorgt mit totalem und mobilem Phosphor und sind mittel versorgt mit totalem Kalium und arm an austauschbarem Kalium. Die Böden sind oft von radioaktiven Nukleiden verunreinigt.

